საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1536 2014 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩატარების დროებითი წესის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134^4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

1. 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ჩასატარებლად, მუნიციპალიტეტებმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი მომსახურება შეისყიდონ არჩევანისამებრ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისაგან ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისაგან.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უზრუნველყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დამტკიცებული ტესტირებების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი